Lync შეხვედრაზე სტუმრის სტატუსით შესვლის ინსტრუქცია

1. შეხვედრაზე სტუმრის სტატუსით მოსახვედრად ბრაუზერში უნდა გახსნათ შეხვედრის ბმული (ეს ბმული შეიძლება მიიღოთ ელფოსტით, ჩეთით ან ნახოთ ვებზე გამოქვეყნებული.
2. გახსნილ ფანჯარაში, Guest გრაფაში ჩაწერეთ თქვენი სახელი და ორგანიზაცია. პირველი შესვლისას აუცილებლად უნდა იყოს მონიშნული Install Lync Web App plug-in. დააწკაპეთ Join the meeting.



3. დაიწყება დანართი პროგრამის (plug-in) საინსტალაციოს გადმოწერა. Internet Explorer-ში შეგიძლიათ გადმოწერის გარეშე პირდაპირ დააწკაპოთ Run ღილაკს



სხვა ბრაუზერში ჯერ უნდა გადმოწეროთ და მერე გახსნათ ფაილი დასაინსტალირებლად.

4. გაიხსნება ფანჯარა, სადაც უნდა მონიშნოთ თოლია და დააწკაპოთ Allow ღილაკს, რათა უფლება დართოთ პროგრამას გაეშვას თქვენს კომპიუტერზე.



5. ამის შემდეგ შესაძლოა გამოჩნდეს წარწერა: Hello. You're in our virtual lobby, so make yourself comfortable. The organizer will let you in soon....., რომელიც გატყობინებთ, რომ მოხვდით შეხვედრის მისაღებში და ადმინისტრატორი მალე დაადასტურებს თქვენს დასწრებას. დაელოდეთ.
6. თუ შეხვედრის მიმდინარეობისას დროებით გაითიშა კავშირი შეგიძლიათ დაბრუნება Rejoin ღილაკით ან ბმულის ახლიდან გახსნით.

<u>შენიშვნა:</u> წინასწარ დარწმუნდით, რომ კომპიუტერის ხმა არ არის ჩაწეული იმ ბრაუზერისთვის, რომლითაც შემოდიხართ. შესამოწმებლად გახსენით ბრაუზერი, ეკრანის ქვედა ზოლზე დააწკაპეთ ხმის პიქტოგრამას და აირჩიეთ Mixer.



სხვა ფუნქციები, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ შეხვედრის დროს ინტერაქციისთვის.